პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 პარასკევი 29 აპრილი № 100 (16840) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

პატივი და დიდება შრომითს კოლექტივებს, წარმოების მოწინავეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც ოქტომბრის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის შეჯიბრების ავანგარდში არიან. იბრძვიან, რათა ხუთწლედის ორი წლის დავალებანი 1977 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ!

საკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ეს დიდებული 60

მიიღე დედასამშობლოვ, საპირველმაისო საჩუქრები!

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა წარმატება

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 28 აპრილს გაანაღდეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სარეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის 1977 წლის იანვარ-აპრილის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისში — „საქნავთობის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „საქელექტრომანქანის“, „ელექტროაპარატის“, „თბილისღვინოს“ საწარმოო გაერთიანებების, „ელექტროიზოლიტის“ ქარხნის, სამოდელო ფეხსაცმლის, № 3 ტრიკოტაჟის, ჩაის საწონი ფაბრიკების, კონიაკისა და ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ოთხი თვის გეგმა — ვადამდე

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 28 აპრილს გაანაღდეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების 1977 წლის იანვარ-აპრილის გეგმა.

ზეგეგმის ვადამდე შესრულებაში თავი გამოიჩინეს „ელექტროაპარატის“, „თბილისღვინოს“ საწარმოო გაერთიანებების, „ელექტროიზოლიტის“ ქარხნის, სამოდელო ფეხსაცმლის, № 3 ტრიკოტაჟის, ჩაის ხაწონი ფაბრიკების, კონიაკის კომბინატისა და ცხინ-კომბინატის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მუშაობა დაიწყო მოსკოველი დამპროექტებლების, დამამზადებლებისა და ექსპლოატაციის მუშაკების მაგალითით, რომელთაც სოციალისტური თანამეგობრობის ხელშეკრულება დადეს და გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედში იშრომონ დევიზით „ხარისხის გარანტია პროექტიდან ნაკეთობამდე“. აქ გადაწყვიტეს აამაღლონ პროგრესულ კონსტრუქტორულ გადაწყვეტათა შემუშავების ეფექტიანობა, სრულყონ ჩაის მრეწველობისათვის მანქანებისა და ხაზების დამზადების ტექნოლოგია.

ხასურსათო მანქანათმშენებლობის მთავარი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს გაწყოფილების მიერ შექმნილი „ბ2-ჩუ-ა“ მარკის მანქანას მიეწოდა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მალე დაიწყება ამ აგრეგატის მასობრივი წარმოება.

საპირველმაისო ვახტზე წარმატებებს აღწევენ სამგორელი მენავთობეები.

* * *

სურათებზე: (მარჯვნივ) ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ბრიგადირი ბორის ანთაძე. ამწყობი ზეინლები გურგენ ჭანტურია და ვლადიმერ ჯანელიძე ეცნობიან ახალი მანქანის პროექტს; მარცხნივ — სამგორის ნავთობის საბადოს მოწინავეთა ჭაბურღილზე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ხუთწლედის შრომითი ნაბიჯი

იუწყებიან მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები

მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისა და მეათე ხუთწლედის მეორე წლის ვადამდე შესრულებისათვის, წარმატებით გაანაღდეს 1977 წლის 1 კვარტალის დავალებანი.

უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, თურქმენეთის, ესტონეთის სს რესპუბლიკების მრეწველობამ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1 კვარტალის გეგმა. გასული წლის 1 კვარტალთან შედარებით გაიზარდა ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის ნაწარმის გამოშვება, გადიდდა შრომის ნაყოფიერება (საკდესი).

სამშობლოში დაბრუნდა

28 აპრილს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც იმყოფებოდა მთავრობის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით ამყოფებოდა ინდოეთში.

ფეოდორომზე ა. ა. გრომიკოს დაბრუნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. ფ. კულაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ულტერის მინისტრი ა. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

პოლიტგამომცემლობამ გამოუშვა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ვ. ზიმიანინის მოხსენება „ლენინიზმი — ჭეშმარიტ ეთაქეს რევოლუციური დრამა“. ეს მოხსენება მ. ვ. ზიმიანინმა ვლადიმერ ი. ი. ლენინის დაბადების 107 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში.

(საკდესი).

პროფკავშირთა ამოცანები აღგილობრივი საბჭოების არჩევნების მოწყობაში

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლაში პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1977 წლის 19 ივნისისათვის დანიშნული არჩევნები რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, იგი ხელს შეუწყობს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას. არჩევნები ჩაიელს სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვების ნიშნით, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის ოქტიღეს ღირსეული შეხვედრისათვის რესპუბლიკის მშრომელთა საერთო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში.

იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მაღალ ორგანიზაციულ, ადიდეურ-პოლიტიკურ დონეზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებაში, პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ და ადგილობრივ კომიტეტებს სკკპ XXV ყრილობის, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად შეიმუშაონ არჩევნების მომზადებისა და მოწყობისთან დაკავშირებით ორგანიზაციულ, პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში თავიანთი მონაწილეობის კონკრეტული გეგმა.

საჭიროა, რომ ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდისა და აგიტაციის მასობრივი ინფორმაციის ყველა იმ საშუალების მთავარი ყურადღება, რომლებიც პროფკავშირებს აქვთ, დაეთმოს იმას, რომ მშრომელებს ღრმად განუმარტონ პარტიის XXV ყრილობის, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, 1977 წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, სამრეწველო საწარმოებში, სატრანსპორტო საწარმოებში, სოფლის მეურნეობაში, ტექნიკურ პროგრესის დაჩქარებას, მუშაობის ეფექტიანობას და ხარისხის ამაღლებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას. საჭიროა, რომ რესპუბლიკის სმრომელებმა ფართოდ გაიზარონ ძველებრ ის მოწყობასთან დაკავშირებით ორგანიზაციულ, პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში თავიანთი მონაწილეობის კონკრეტული გეგმა.

საჭიროა, რომ ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდისა და აგიტაციის მასობრივი ინფორმაციის ყველა იმ საშუალების მთავარი ყურადღება, რომლებიც პროფკავშირებს აქვთ, დაეთმოს იმას, რომ მშრომელებს ღრმად განუმარტონ პარტიის XXV ყრილობის, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, 1977 წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას.

სრულიად საკავშირო ალკკ რიგგარეშე დათვალიერება

კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა გახდა კომკავშირული რიგების დათვალიერება, იმის მომთხოვნელი შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს, პარტიის გადწყვეტილებებს სრულიად სკკავშირო ალკკ თვითეული ორგანიზაცია, თვითეული ახალგაზრდა. მისი შედეგები და სრულიად სკკავშირო ალკკ რიგების შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების, კომკავშირის აღმშრდელობითი მუშაობის გაძლიერების ამოცანები განხილა სრულიად სკკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 28 აპრილს.

მოხსენება გააკეთა სრულიად სკკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

პლენუმის მონაწილეებმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აღუთქვეს, რომ ლენინური კომკავშირი კვლავაც იქნება მშობლიური კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და სამეფო რეზერვი, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა დარსეულად აღნიშნავს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. (საკდესი).

აზერბაიჯანის რკინიგზელთა ამოცანები

ბაკო. (საკდესის კორ.). ბაკოში გაიმართა აზერბაიჯანის რკინიგზის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა განიხილეს აზერბაიჯანის ფოლადის მაგისტრალის მშრომელთა ამოცანები, რომლებსაც საფუძველად უდევს „1976-1980 წლებში რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

გზათა მინისტრის ი. გ. პავლოვსკის მოხსენებამ და ორატორთა გამოსვლებში განისაზღვრა ოთხგზის განვითარების. მისი მეშაობის სრულყოფის გზები.

საბჭოეთის ეროკლე ცნობები

□ **მოსკოვი.** სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების ქარხანაში აითვისეს ტორსულ-სახეი ჩარხების წარმოება. ასეთი გთვალისწინებულია სხვადასხვა სახის საკისრების დასამზადებლად. ახალი მოწყობილობა გამოიჩეკვა დეტალების დამუშავების დიდი სიზუსტით, მართვაში მოხერხებულია და ექსპლოატაციის დროს საიმედო. ჩარხების პირველი პარტიები მალე დაიდგმება ქვის საავტომობილო ქარხნის საამქროებში. (საკდესი).

□ **მინსკი.** აგროქიმიური ცენტრი, რომელიც გადასცეს საექსპლოატაციოდ ბრესტის მახლობლად „სოფლტექნიკის“ ბეგისპირი „ბარეთიანეთში, მიიღებს ოთხ ეშელონ მინერალურ სასუქებსა და კირს, 7,5 ათასი ტონა ტეეიდობის სასუქების საცავი აღმოჩენილია ზიდული საგრეფერო ამწეებით, მძლავრი საკონვეიერო ხაზებით. აგროქიმიური ცენტრები შექმნილია „სოფლტექნიკის“ 70-ზე მეტ გაერთიანებაში. მომდინარე ხუთწლედში მათი მშენებლობა დამთავრდება ბელორუსის დანარჩენ რაიონებში. (საკდესი).

მოწინავეებს დროშები გადაეცათ

თბილისი. აქ გაიმართა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა თერჯოლის რაიონისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადამავალი წითელი დროშის გადაცემას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა მხურვალედ მიულოცა თერჯოლელ მშრომელებს და დროშა გადასცა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ა. ბურჭანაძეს და თერჯოლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. ხუჯაძეს.

კრებაზე გამოვიდნენ პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბურჭანაძე, რუფოთის მეგზურობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. დიაკონიძე, ქვასხირის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. ბერეულაშვილი, სოფელ ქვედა სომონეთის კოლმეურნეობის მეკარეშუმე ნ. ჩუბანიძე და სხვები.

თერჯოლელ მშრომელებს მადლობა ჯილდო მოულიეს პარტიის ზოგადიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუაშ, აბანის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. მეელაძემ და ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მერკვილაძემ.

ზნაური. გაიმართა ზნაურის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა ზნაურის რაიონისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადამავალი წითელი დროშის გადაცემას.

ტრიბუნაზე საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. სანაკოევი. მან აღნიშნა, რომ ზნაურის რაიონის მეჭარხლეებმა წელს „შაქრის ჭარხლის თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ფონზე და ხარისხოვნად ჩაატარეს; გაიმარჯვეს 1976 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს მეჭარხლეთა ოლქობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან გულითადად მიულოცა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებს, რაიონის ყველა მშრომელს მაღალი ჯილდო და ახალი წარმატებანი უსურვა მიმინდერეობისა და მეცხოველეობის წარმოებაში. შემდეგ მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ზნაურის რაიონის მეორე მდივანს ა. ზასე

მეჯი ბოსტნეული და ხილი

ᲝᲝᲤᲞᲠᲐᲕᲓᲐ

„პრავდა“, 28/IV-77 წ.

დიდ და საფუძვლიან სკა-ბაასს იმის შესახებ, თუ როგორ დავაკმაყოფილოთ უფრო სრულად მოსახლეობის მოთხოვნა ბოსტნეულზე, ხილსა და კენკროზე, რომელიც „პრავდის“ ფურცლებზე დაიწყო, თანთანად გამოეხმაურნენ მკითხველები. სტატიებსა და წერილებში ეროვნებამ, კოლმეურნეებმა, სპეციალისტებმა, სახელმწიფო ფერმებმა, ეკონომისტებმა, ჟურნალისტებმა, ბიზნესმენებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, ინსტიტუტებმა, ფაბრიკებმა, ბაზრებმა, ბაღჩეულობის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელების, ღვინის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბამბ

პოეტ კარლო კალაძის დაბადების 70-ე წლისთავი



ცაში გუგუნით გაშლილი ფრთები

ჩვენი მჩქეფარე სუკუნის ჰეშმარიტი შვილია გამოჩენილი ქართველი პოეტი კარლო კალაძე, რომელიც ათ უკვე ხუთ ათეულ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება პოეტურ მუზას, ფიხდაფეხ მისდევს ახალი საქართველოს ყოველ გამარჯვებას და სიხარულს, გულით ატარებს ხალხის ფიქრსა და ოცნებას, გულწრფელად უმღერის აღორძინებულ მამულს და მის სახელოვან ადამიანებს.

კარლო რაჟდენის ძე კალაძე დაიბადა 1907 წლის 29 მარტს ქ. ქუთაისში. 1926 წელს თბილისის ვალთა პირველი ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ კი — სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსი 1920 წელს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს კომუნისტსში", ლექსების პირველი კრებული კი 1926 წელს გამოვიდა. 1939 წლიდან კარლო კალაძე კომუნისტური პარტიის წევრია და რესპუბლიკის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

კარლო კალაძე ნამდვილი ლირიკოსია ამ სიტყვის მაღალი, მოქალაქეობრივი გაგებით. საზოგადოების ყველა სატკივარი, ქვეყნის წინსვლა და ბრძოლის ყიფით დაძლეული წინააღმდეგობები, მეჯლისი შრომით მოპოვებული ხალასი ადამიანური სიხარული — აი ძირითადი თემატიკა მისი მრავალი ლექსისა და პოემისა. კარლო კალაძის ნაწარმოებების და წიგნების სათაურებიც კი სიმბოლური და მრავლისმეტყველია. „ხერთვისის, განთიადები" თუ „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა", პიესები „რეგორ", „ხატეჯე", „სოფლის საამო საღამოები", სამაგშო ლექსები და პოემები, მრავალი ნაოარგნი ლექსი და პოემა თვალნათლივ მიგვანიშნებს პოეტის დიალაზონს, მისი შემოქმედებითი ალიტრის მრავალფეროვნებას, მისი ინტერესების ხარისხს და დონეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დრამატიული საწყისი კარლო კალაძის ლირიკაში. ეს მხოლოდ იმით კი არ გამომეჟავნდა, რომ მან თავის დროზე შექმნა პიესები, რომელიც ქართული თეატრის მედოგმეთა ყურადღების ორეალში მოექცა, არამედ, შემდგომაც, მთელი შემოქმედების მანძილზე პოეტმა შეინარჩუნა დრამატიული გზნება ლირიკაში, დინამიკურობა, მოვლენების და სიტუაციების გამხოლოებული ხედვის უნარი, რაც მის ნაწარმოებს ცხოვრებისეულობას, სიმართლეს და ორიგინალობას ანიჭებენ.

კარლო კალაძის პოეზია უშუალო და გულწრფელია, მასში ბუნებრივ ნაკადად შეიგრძნობა, ერთი მხრივ ყოფითი იუმორი და მეორე მხრივ ზეაწეული ტონალობა. პოეტი ადვილად იმორჩილებს სიტყვას, ამავე დროს თითქმის მისი ყველა ლექსი სიუჟეტის მქონეა. როცა პოეტის სათქმელი იზრდება, ეს თვისება სრულიად ბუნებრივად განიცდის ეანრულ ცვლილებას და ყალიბდება ეპიურ პოემად.

კარლო კალაძის, როგორც ლირიკოსის ყველა საუკეთესო თვისება ყველაზე სრულყოფილად ბოლო ათწლეულში გამომჟღავნდა. მკაფიოდ და ხმამაღლა ეს თვით პოეტმა განაცხადა, როცა თავისი წიგნის „მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული" თავფურცელზე წაწერილ წინათქმაში გვამცნო, რომ სწორედ „ეს წიგნი ხატავს ახლა მთელს ჩემს სიცოცხლეს — მრწამსით, სიხარულით და სიმწუხარით". ძნელია პოეტის ამგვარი გულახდილი აღსარების შემდეგ, მის წიგნს გვერდით გულგრილად ჩაუარო, მითუმეტეს, როცა ეს წიგნი ეკუთვნის პოეტს, რომელიც წლების მანძილზე გამოქვეყნებული ლირიკული ლექსებით, ეპიკური ქმნილებებით და დრამატიული ნაწარმოებებით მტკიცედ შეეთვისა ხალხთა სინამდვილეს და ქართული პოეზიის ორგანული ნაწილი გახდა.

„მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული" სულ ახლახან მიიღო მკითხველმა და თამამად შეიძლება თქვას, რომ ეს წიგნი არის 70-იანი წლების ქართული ყოფის ეროელი, პანორამული სურათი, სადაც ეპიური სიღინჯით გაცოცხლებული ხილვების გვერდით უხვად არის ემოციური გაპაეკრება დღეეანდელობის აქტუალური პრობლემების ფონზე ელვარე წახნაგებთან.

კარლო კალაძის შემოქმედებაში თვალნათლივ ჩანს მხცოვანი პოეტის ჭაბუკური შემართება, სულიერი მხნეობა და ჩვენ გვჯერა ასკის პირობითობა, რადგან ახალგაზრდოლია თვით პოეზია და სიცოცხლის ოლივი ხალისი. „თუ სიჭაბუკე არაა — სიცოცხლე არა არის-რა!" — მოგვიწოდებს პოეტი და ჩვენც ვიმუხტებით ამ ცეცხლოვანი სიტყვების შინაგანი გზნებით.

პოეტის ახალი ლექსები სამშობლოს მომავალზე ოცნების მადლიანი შუქით არის გამთბარი. პოეტი მზად არის თავისი სიცოცხლის სიხარბამდე სამშობლოს ერთი დღის შუქი დაისაზეიროს. დღევანდელობისადმი მდელვარე დამოკიდებულება, მოქალაქეობრივი პათოსი ამ ლექსებში ორგანულად ეხმიანება ცხოვრებელს ისტორიულ წარსულს ძველ ეიხი-ეოშვილს, გიორგობისა და ბოროტების უწყვეტ ძალას, რომელიც წუთისოფლის დელვამას ადარჩენია და თავისი ძლიერი სხეულით, თავისი უჭეშმი ტრადიციებით, თავისი ადუხუნარი სიდარბაისლით თანამედროვე საქართველოს „დიდ ეოფრ-მარტ შუქს მატებს.

მე ქვა მერქვა...
ციხის ბურჯებს მეც ერთ
ბურჯად შევუშენდი,
რომ დანგრევას ადადურჩეს
ჩემი შავშეთ-ერუშეთი!
კახაბერის ველსაც ისე,
როგორც ალის და საინგილოს
ქვიტკირივით უნდათ ისევ
გული გულთან ჩაიკროს!

„ამ სიფიცულს უნდა ბერძნულა ერქვას!" — ასე დასასთავრა პოეტმა ერთი თავისი ლექსი და მართლაც რაოდენი ტკივილი და სიხარულია ჩატეული ამ ერთ სტრიქონში, სადაც სასოებით შერწყმია ერთმანეთს წარსულისდამი ნოსტალგია და დღევანდელობაში ყოველივე კარგის, ყოველივე ჩინებულის შენახვის და ფაქიზის სურვილი, რაც მამა-პაპათა ჩვენთვის უანდერძებიათ.

სამშობლო კარლო კალაძის პოეზიაში სხვადასხვა კუთხიდან არის დანახული, მაღლისადმი სიყვარულს ბუნებრივად უკავშირდება მისი დაუღლელი ხალხის შრომის ქებათა-ქება. მშრომელი ადამიანების მთელი გალერეა გაიელას მკითხველის თვალწინ, ვინც კი პოეტის ამ „წიგნს გაიცნობა. ესენი არიან შრომელი მეშუერეტლეები, ენგურჰესის მშენებლები, მეადრეშუმეები, მეჩაიეებიც; ეს არის ყოლხეთის, აჭარისა და ათსაზეთის ყოფის სურათები, ზეგისა და მთების უსაზღვრობა, ქართული ვენახის, ბაღის და მინდვრების სურნელება. ჩანს პოეტი ცხოვრების მრავალ საკითხზე დაფიქრებული, ბევრი უნახავს, გამჭრიახ ადამიანებს ჭირსა თუ ლხინში გვერდით ამოსდგომია, ხალხის გაჭირვება და სიხარული გულთან ახლოს მიუტანია, თავისი გრძნობა-გონების ქოთანში გამოუწვია და პირად ტკივილად თუ ხალისიან სიმღერად უქცევია.

ახალ ნერგების შრიალ-
შრიალი
ხელგაშლილთ ახლა მეც აქ
მიმღერებს;
ჩემი დღე ამ დიდ
შრიალში არი,
ჩემი დღე მაღლა მიაქვთ
ამ ხელებს!

ეს არის მშრომელი ადამიანის არა გაუპროვნებელი ქება ან მისი ნაოდაწით გულუბრყვილო აღტაცება, არამედ შრომის ერთგვარი პოეტური ეტალონი, იმ შრომის, რომელიც გამრჯე ადეს თავისი სინდის-ნამუსის საზომად გადუხდია და ქვეყნის დოვლათს ჩუმად, ეხმაუროდ, საქმისა და მამულის დიდი სიყვარულით ქმნის. პოეტიც მთ მხარდამხარ მიიბიჯებს და ამიტომ სრული უფლება აქვს განაცხადოს:

ამიხდა რაც კი ვინატრე
და აწ მაცნე ვარ ამის:
თავს მადგას დიდი სინთლე
ჩემი დღისა და ღამის!

პოეტს ბევრი რამ განსაზღვრავს — აზრი, ვრძნობა, რიტმი, მუსიკალობა, ორტისტიზმი... მაგრამ არის ერთი საოეარი პოეტური ნიუანსი, ელვარე შტრიხების, ძალიერი მონასმების უნარი, რომელიც მრავალი ლექსიდან და სტრიქონიდან რამდენიმეს მაკეთებდ წარმოაჩენს, ისე მაკეთებდ, რომ ერთ სტრიქონში ოცის, ერთბაშად პოეტის მთლიან სურათს დაინახავ. „ქვაეაც მოელვარე თითებით ადადასწორება ფიფარს" — ამბობს კარლო კალაძე და აქედან ერთი ნაბიჯია ფერწერამდე, პლასტიკამდე. მაგრამ ფერწერული სურათი კარლო კალაძის პოეტური ხატვის თვითმიზანი არ არის, რადგან ლამაზი და სანერეც არ უნდა იყოს იგი. ყველა შტრიხიდან და ნიუანსიდან პოეტი ისევ და ისევ ებრუნდება თავის მთავარ სათქმელს, სამშობლოს აწმყოსა და მომავლის ერთგულ სამსახურს.

რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს ბეწერულ კოლოსალურ მუშაობას სამრეწველო და სამეურნეო ფრონტებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივ-მორალური გაჯანსაღების აქტიოსობას მთელი თავისი პოეტური ძალით, მოქალაქეობრივი მრწამსით ოა ოიეური შემართებით მხარში ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად დაბადებული კომუნისტი პოეტი კარლო კალაძე. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ვინ უნდა იყოს მოწინავე მებრძოლთა რიგებში თუ არა ადამიანი, რომლის მთელმა შეგნებულმა სიცოცხლემ რეგოლუციის საქმის მხარდამხარ გაიარა, იმ მძიმე, შრომატევადი და მრისხანე წლების მხარდამხარ, რომელსაც ეოლქმენტიანიციის წლები, სამამულო ომი და ომის შემდგომი აღმშენებლობა ჰქვია. ეს არა მხოლოდ ისტორიული თარიღებია, არამედ პოეტის ბიოგრაფიის ყველაზე მაღალი მწვერვალებიც, რომელსაც, თვითეულს თავისი ესთეტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს ლამაზი ცხოვრება საჭიროებდა ერთ უმაღლეს ალორდს, მაგნებარი შემართების, პოეტურ გატაცებას, რათა გვერდგვერდ დაედგა ამ ნამოღვაწარისათვის. ესეი ალორდად კარლო კალაძის პოეზიაში ჩვენი დღეეანდელი, დაძაბული და სათნტერესო ცხოვრება, ეოცხალ სინამდვილად იქცა. ამიტომ მისი სიტყვა გულწრფელი და ალალმართალია. ეს არის რეგოლუციის პრინციპების ერთგულება ჩვენს სინამდვილეში, საკუთარი ცხოვრების აზრის გამართლება, პირადნელი მეობის დაცვა, მაღალი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, ქართული ლექსისა და ქართული ენის წინაშე, დედამამშობლოსა და დედაბუნების წინაშე.

სიმბოლურია, რომ საიუბილეო წელს, ოქტომბრის რეგოლუციის მე-60 წლისთავისათვის მთელი საბჭოთა ხალხის მზადების მღელვარე დღეებში, ბრძოლისა და შრომის წინა ხაზზე დგას კომუნისტი პოეტის „ჩემი დღისა და ღამის წიგნი". კარლო კალაძე ერთ ლექსში ამბობს, ამ ქვეყნად არავის გაუგონია „სიმღერის სიკვდილი". ეს მართლაც ასეა, როცა ცაში გუგუნით გაქვს გაშლილი ფრთები და ოიხარეშ კი მშობლიური მიწის სითბოსა და ეშრეტ ძალას გრძნობ.

ROსტომ
ბეჟანიშვილი.

სიტყვა მეგობარს

ჩვენი კარლო! — ასე გულითბილად და პატივისცემით იხსენიებენ აზერბაიჯანელი კოლეგები და მხატვრული სიტყვის მოტრფიალენი ქართველ პოეტს. ეს პატივისცემა კარლო კალაძემ უკვე დიდი ხანია აზერბაიჯანელი ხალხისადმი დიდი სიყვარულით, მის ნიჭიერ შვილებთან — მწერლებთან და ხელოვნების ოსტატებთან მეგობრობით დაიმსახურა.

დღეს შეუძლებელია ვილაპარაკოთ მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაზე და არ გავიხსენოთ კარლო კალაძე, მისი მაღალმხატვრული შემოქმედებითი სამყარო. განა შეიძლება იყოს ამაზე მეტი ბედნიერება პოეტისათვის?

კარლო კალაძეს 20-იანი წლებიდან ვიცნობ. ამ შესანიშნავმა კაცმა მომაჯადოვა თავისი სულიერი სიმდიდრით, თავისი მარადმწვანე პოეტური გაზაფხულით. შეუძლებელია არ გიყვარდეს კარლო როგორც ადამიანი და როგორც პოეტი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან კარლო კალაძე ახალი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ნიჭიერი მშენებელი, რევოლუციური პოეზიის შემოქმედი გახდა. კარლო კალაძე თავისი ბუნებით ნამდვილად სახალხო პოეტი, შემოქმედი პატრიოტია. მის პოეზიაში ხორცშესხმულია ქართველი ხალხის ნათელი ახალი ცხოვრება. მკითხველთა ფართო მასებს უყვართ იგი, რადგან მეგობრობის, ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მგზნებარე მომღერალია. კარლო კალაძე ყოველთვის იდეოლოგიური ფრონტის, ახალი რევოლუციური ლიტერატურისათვის დაძაბული და პრინციპული ბრძოლის წინა ხაზზეა.

ჩემი მეგობარი კარლო კალაძე ბედნიერ პოეტად მიმაჩნია, რადგან მან შეძლო თავისი შემოქმედებით მარტო თავისი ერის სიყვარული კი არა, მოძმე ხალხების სიყვარულიც მოეპოვებინა. ეს პატივი კი ყველა პოეტს ხვედრი როდია! კარლო ის ნიჭიერი შემოქმედია, წლები რომ ვერ აბერებს, სულ ნათელსა და სითბოს რომ ასხივებს. ასეთია იმ ხელოვანთა ბედი, რომლებიც თავიანთ ცხოვრებასა და შემოქმედებას მაღალ, წმიდათაწმიდა იდეალებს უძღვნიან. კარლო აზერბაიჯანელი ხალხის, ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უახლესი მეგობარია. იგი, შეიძლება ითქვას, ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების უდიდეს გამარჯვებათა უცვლელი მონაწილეა.

ჩემს მეგობარს, რომელთანაც უკვე ნახევარი საუკუნეა ჭირსაც და ლხინსაც ვიზიარებ, ახალ მიღწევებს, ახალი მწვერვალების დაპყრობას ვუსურვებ!

სულეიმან რუსტამი,
ქ. ბაკო.

ყოველთვის პოეტი

იქნებ, ცოტა უცნაური გამომვიდა ეს სათაური მოკლე მისალოცი სტატიისა, რომელიც მინდა კარლო კალაძის დაბადების სამოცდაშვიდე წლისთავის დღეს წარმოვთქვა, მაგრამ ეს ხომ მართლაც ასეა — იგი ყოველთვის, ყველაფერში და უწინარეს ყოვლისა პოეტია!

ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თაოსანი და უხუცესი — კარლო კალაძე მარტო მრავალი მშვენიერი ლექსის ავტორი კი არ არის, არამედ იგი მაშინაც პოეტია, როცა ლექსებს არა წერს, როცა უბრალოდ ლაპარაკობს თავის მშობელ ქართულ მიწა-წყალზე, თავის მშობლიურ, უმდიდრეს და ულამაზეს ქართულ ენაზე, როცა ლაპარაკობს მიწაზე, ცაზე, ზღვაზე, მეგობრობაზე, ადამიანებზე, რომლებიც უყვარს — უფრო ხშირად უყვარს, — და იმ ადამიანებზე, რომლებიც არ უყვარს — ზოგჯერ არც უყვარს. ლაპარაკობს აღტაცებით და ლაპარაკობს გულისწყრომით, მაგრამ არასოდეს — გულგრილად, რადგან, მისი აზრით, პოეტი არც გულგრილი უნდა იყოს, არც ფრთხილი. და სხვა გზა არ არის, უნდა დათანხმო მის აზრს.

ორმოცი წელია ვიცნობ კარლო კალაძეს, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ, ახალგაზრდობაში გამაცნო ჩვენმა საერთო უფროსმა მეგობარმა პავლე გრიგოლის-ძე ანტოკოლსკიმ. იმ შორეული დღის შემდეგ ბევრჯერ შევხვედრივარ კალაძეს პოეზიაშიც, ცხოვრებაშიც. წამიკითხავს მისი ნაწარმოებები, რომლებიც რუს პოეტებს უთარგმნია. მეც მითარგმნია მისი ლექსები და პატარა პოემები, დამიწერია მის პოეზიაზე, რამდენიმე წელი მასთან გვერდიგვერდ მიცხოვრია.

რა განსაცდელი არ გადახდენია თავს, და ყოველთვის მაოცებდა მისი მგზნებარე, ურყევი და სიცოცხლით სავსე ბუნება, მისი დაუოკებელი პოეტური გზნება, მისი უშრეტი იუმორი.

ოდესღაც კარლო კალაძისადმი მიძღვნილ ერთ ჩემს სტატიას ასე დავარქვი „თუ არის, ახალგაზრდული ლექსები იყოს!" და, ვფიქრობ, მართებულადაც დავარქვი. ოციან წლებში ქართული პროლეტარული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა თაოსანი კარლო კალაძე მთელი ცხოვრების მანძილზე ახალგაზრდა დარჩა. და ეს ახალგაზრდობა იგრძნობა არა მარტო მისი ლექსის ჭაბუკურ, მაგრამ, დაუძაბუნებელ კუნთებში, არამედ ცხოვრებისადმი იმ იშვიათ ახალგაზრდულ ინტერესში, რომელიც აგრერიგად გამოსჭვივის მის ყველა წიგნში, პირველი წიგნებით დაწყებული და ხულ ახლახან გამოცემულით დამთავრებული.

იგი არ ეკუთვნის იმ პოეტებს, მარტო ახალგაზრდობის მოგონებებით რომ ცხოვრობენ, მან იცოდა ჭაბუკურად ცხოვრება, ჭაბუკურად წერა მაშინაც, როცა ორმოცი წლისა იყო, როცა ორმოცდაათი, სამოცი წლისა. იყო და ახლაც იცის, როცა სამოცდაათი წლისაა! ეუშმარიტად ძვირფასი თვისებაა, და მინდა მივულოცო ეს ჩვენს ქართველ ძმასა და მეგობარს დღეს, მისი დაბადების სამოცდაშვიდეთე წლისთავის დღეს!

კონსტანტინე სიმონოვი.
ქ. მოსკოვი.

სამშობლოს სადიდებლად

გამოჩენილ ქართველ პოეტს კარლო კალაძეს 70-ე წელი შეუსრულდა. ამ სამოცდაათიდან 50 წელზე მეტი მან მშობლიური ლიტერატურის სამსახურს მიუძღვნა.

კარლო კალაძე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთი ფუძემდებელთაგანი და ქართული პოეზიის ბევრი აღიარებული გამარჯვების მონაწილეა. მისი ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე და პოეტის სახელი ფართოდ პოპულარულია მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში.

კარლო კალაძის პოეზია ყოველთვის გამოირჩეოდა მებრძოლი სულითა და რევოლუციური მგზნებარებით. მის შემოქმედებას ეს სულისკვეთება დღესაც ისევ ახასიათებს და ჩვენ მოწმენი ვართ, როგორი ენერგიითა და ნაყოფიერებით აგრძელებს იგი შთაგონებულ მუშაობას, ასაკისა და ხანდაზმულობის მიუხედავად. პოეტი ახალგაზრდულად რჩება, სანამ იგი კარგ ლექსსა წერს, და კარლო კალაძე ამის ცოცხალი მაგალითია. მას ბევრი მეგობარი ჰყავს მთელს დიდ საბჭოთა ქვეყანაში, არ არის კუთხე, სადაც, იგი სასურველი სტუმარი არ იყოს.

ვუსურვოთ კარლო კალაძეს ახეთი შთაგონებითა და ნაყოფიერებით გაეგრძელებინოს თავისი დიდი შემოქმედებითი გზა და კიდევ ბევრი ლამაზი სიმღერა შექმნას ჩვენი საყვარელი სამშობლოსა და ხალხის სადიდებლად.

გრიგოლ აბაშიძე.

□

მეგობრები ულოცავენ

ძვირფასო კარლო რაჟდენის ძეს! ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" სარედაქციო კოლეგიის სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენ, ცნობილ საბჭოთა პოეტსა და დრამატურგს, ჩვენი ჟურნალის ძველ მეგობარს დაბადების 70-ე წლისთავს. მთელი გულითა და სულით გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

სერგი ბარუზდინი.
ქ. მოსკოვი.

ჩემო ძვირფასო, ძმაო კარლო! მთელი გულითა და სულით გილოცავ სახელოვან იუბილეს. მაყვარხარ შენ, გამოჩენილო ქართველო პოეტო, უკრაინის გულითადო მეგობარო... შენ დამშახე შენი მშობლიური მიწას, შენი ხალხის სილამაზე, შენთან დაკავშირებულია ახალგაზრდობის უძვირფასესი მოგონებები, გმადლობ, გისურვებ ბედნიერ შემოქმედებითს წლებს, ჯანმრთელობას, უწინდელ ხალისს.

პლატონ ვორონკო,
ქ. კიევი.

ძვირფასო კარლო! გილოცავთ თქვენ, მოძმე საქართველოს თვალსაჩინო პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს მეგობარს დაბადების 70-ე წლისთავს. თქვენს ნაწარმოებებს კარგად იცნობს სომხი მკითხველი — ჩვენ გიცნობენ და უყვარხართ სომხეთში. და დღეს მთელი გულითა და სულით მოგილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებითს მიღწევებს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სადიდებლად.

ვარდგეს პეტროსიანი.
ქ. ერევანი.

ძვირფასო, პატივცემულო მეგობარო კარლო! მწერალთა კავშირის გამეობა, მხიური უზბეკეთის ყველა ლიტერატორი გულითადად გილოცავენ თქვენ, მშვენიერი საქართველოს თვალსაჩინო პოეტს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს დაბადების 70-ე წლისთავს, 50 წელი ლიტერატურის სამსახურს რომ მიუძღვნია.

თქვენთვის საზეიმო დღეს გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს, ბედნიერებას.

უზბეკეთის მწერალთა კავშირის გამგეობა.

ყოველთვის პოეტი

ჩვენ გვაპატიონ სილაღე
შინმოუსვლელთა ღრუბლებმა,
მზეს ვინც კი შევრჩით — საქვეყნოდ
გვაქვს ამ ზეიმის უფლება!
ტყვია, ვინ იცის, ვის აცდა —
სამასში სამი ვინ არის!?
რომელი მხედრის მკლავია,
შუბლი — რომელი მფრინავის!
ისე, ვით მოსვლა მაისის —
მაისის ელვა-ქუხილით,
ჩვენი ხმაც ხევ-ხევ გაისმის,
ჩვენც ამ ქვეყანას ვუღიმით.
მაისის ფერით ფერს იღებს
მიწა და ზეცა ზეკარის —
ეგ არის, კვლავაც რაცა გვწამს,
და საქართველოც ეგ არის!
ხალხი ზეაღდგა, ზეიმობს,
მზის შუქით ღამე წაშალა —
მთებიდან მთებზე გუგუნით
გზას ეგებება გზა-შარა!
ეგ არის ძვირა გულისა
და არა მზერა უგულო, —
მუხლო, აიღე ალმართი,
ამაღლდი ქვეყნის გუგუნო!
სჩანს რომ შენს მწვანე მიწაზე
კვალს შენი სწრაფვაც აჩენდა...
აშენდა შენი საწუთრო,
ალალი გულით აშენდა!
ფრენით ცა გასჭრა ფოლადმა,
შუქი ბნელს შეეჭიდება.
შრომას დიდება, ვაჟკაცურს,
ძმობას ვაჟკაცურს — დიდება!
შეაფრინდება ფრთებგაშლილი
სიმღერა მაღალ-მაღალ მთებს! —
და შუქის ფრქვევა დილისა
კვლავაც შავ ღრუბლებს აღანთებს!
ჩვენ გვაპატიონ სილაღე
და სიამტკბილე მაისის...
მაისის ელვა-ქუხილში
შინმოუსვლელთა ხმა ისმის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლაპარაკება თეთრ სახლში

ვაშინგტონი. (საკადესი). აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ორი დღის მოლაპარაკება იორდანიის მეფე ჰუსეინთან. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ არავითარი ოფიციალური კომუნიკე არ გამოქვეყნებულა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ზოგადად განაცხადა, რომ განიხილეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხები. მდგომარეობა სამხრეთ ლიბანში, აგრეთვე ამერიკა-იორდანიის ორმხრივი ურთიერთობა. მან აღნიშნა, რომ მოლაპარაკებაში მთავარი ყურადღება დაეთმეს „აზრთა ფართო გაზიარებას იმ წინადადებების გამო, რომლებიც პალესტინის პრობლემის გრძელვადიან მოწესრიგებას შეეხება". ამასთან, მის განცხადებაში არ ყოფილა გამოხატული მოლაპარაკების მონაწილეთა თვალსაზრისი ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა პალესტინის არაბთა სახელმწიფოს შექმნა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლთა მონაწილეობა ჟენევის ახლო აღმოსავლეთის საკითხთა კონფერენციაში თავიდანვე და თანასწორი უფლებებით.

ამერიკა შეერთებული შტატებისა და იორდანიის ხელმძღვანელებმა განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებული ტერიტორიულ საზღვრებთან და ზავის საერთო ხასიათთან ახლო აღმოსავლეთში. იუწყებიან, რომ ამერიკის მხარემ ჰუსეინს განუცხადა, რომ ისრაელი არ არის თანახმა დაიხიოს ცეცხლის შეწყვეტის არსებული ხაზებიდან.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა განაცხადა, რომ ჟენევის კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის წესახებ, უმჯობესია არ მოიწვიონ „სანამ ჩვენ არ გვექნება სერიოზული შესაძლებლობანი არსებითი მიღწევებისათვის".

თეთრი სახლის წარმომადგენელი შემდეგში შეეცადა შეერბილებინა არაკეთილსასურველი შთაბეჭდილება პრეზიდენტის გამონათქვამებისაგან. მისი სიტყვით, ჯ. კარტერს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ჟენევის კონფერენცია შეიძლება მოიწვიოს წელს და რომ კარტერის შენიშვნა ამ საკითხზე არ უნდა იქნეს შეფასებული, როგორც პესიმისტური.

თვითნებობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, (საკადესი). შეერთებულ შტატებში ფართოვდება მშრომელთა საგაფიცო ბრძოლა მონოპოლიების თვითნებობის წინააღმდეგ, თავიანთი საარსებო უფლებისათვის.

ფიქრი მეტია გრძელდება ქანზას-სიტის (მისურის შტატი) საქალაქო სკოლების 2 ათასამდე მასწავლებლის გაფიცვა. ქალაქის ხელისუფლებმა მიმართეს სასამართლოს, რომელმაც მასწავლებლებს აუკრძალა სკოლების პიკეტირება. გაფიცულებს, რომელნიც არ დამორჩილებიან ამ უკანონო ღონისძიებას, შეიძლება ბრალად დასდონ „სასამართლოს შეურაცხყოფა". გარდა ამისა, მასწავლებლებს დიდი ჯარიმა მოელით გაფიცვის თვითეული დღისათვის.

ქანზას-სიტის ხელისუფლებმა სასტიკად გაუსწორდნენ ქალაქის სკოლების მოსამსახურე პერსონალს, რომელმაც მასწავლებლებისადმი სოლიდარობის ნიშნად უარი განაცხადეს პიკეტების ხაზს იქით გადასვლაზე. რამდენიმე ათეული მოსამსახურე დაითხოვეს „სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის".

ნიუ-იორკის სატვირთო მანქანების მძღოლთა პროფკავშირის წევრებმა უარყვეს შრომითი შეთანხმების უსამართლო პროექტი.

ვიზიტი საფრანგეთში

პარიზი. (საკადესი). გრძელდება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში.

ვიეტნამის მთავრობის მეთაური შეხვედა და მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთის პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენთან. მოლაპარაკება, როგორც აქ აღნიშნავენ, ეხებოდა ვიეტნამ-საფრანგეთის ურთიერთობასა და საერთაშორისო პრობლემებს.

მიიღო რა სპატენ სტუმარი, ვ. ჟისკარ დ. ესტენმი თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საფრანგეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ როლს, რომელიც ვიეტნამის სახელმწიფომ უნდა შეასრულოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა საპასუხო სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამელი ხალხი ახლა მთელ ძალებს აბამს ახალი, აყვავებული სოციალისტური სახელმწიფოს აშენებას.

ფამ ვან დონგი შეხვდა საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

კარიკატურისტის კომენტარი

ინგლისელმა რასისტებმა ამ ბოლო დროს გააკიცურეს თავიანთი მოქმედება. აქ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ახლო მომავალში ინგლისში შეიქმნას „კუკ-ლუქს-კლანის" ფილიალი. (გაზეთებიდან).



საძრახის როლში

ბ. ლომიძის ნახატი.

სმრიოგული შეშფოთება

ბონი, (საკადესი). დაპაუს ყოფილ ტუსალთა საერთაშორისო კომიტეტმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაცისტების აღორძინების ცდების გამო. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მთავრობისადმი განცხადებაში კომიტეტმა პროტესტი განაცხადა ნაცისტების აცოცხლებულობრივი იდეების პროპაგანდისა და ევროპის ხალხთა შორის შუღლის გაღვივების წინააღმდეგ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მონაპოლის ვეტერანები კვლავ თავიანთ ძირითად ამოცანად მიიჩნევენ მშვიდობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის, ყველა ნეონაცისტური ორგანიზაციისა და ფაშისტური იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების ლიკვიდაციისათვის ბრძოლას.

პენტაგონი ვერ ძლება

ვაშინგტონი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი და პენტაგონს გამოუყო კოლოსალური თანხა — 36 მილიარდი დოლარი უახლესი სისტემის იარაღის შეძენა-შემუშავებისათვის. ეს ასიგნებანი 2.7 მილიარდი დოლარით აღემატება იმ სამხედრო შესყიდვების ხარჯებს, რომლებიც მთავრობამ გაითვალისწინა მიმდინარე წელს.

ფონდების გადანაწილების გზით 334 მილიონი დოლარით გაიზარდა „ფ-15" ავიაგამანადგურებლების შესყიდვის ასიგნებანი. გაფართოვდა ზოგიერთი სხვა პროგრამაც. ზოგი კონგრესმენის ოპოზიციის მიუხედავად, 1 მილიარდ დოლარზე მეტი გამოიყოს „ბ-1" ტიპის ხუთი ახალი სტრატეგიული ბომბამშვნისათვის, 325 მილიონი დოლარი ფრთოსანი რაკეტების შექმნის პროგრამის განგრძობისათვის.

ფლეგი და ფიგნები

საქართველოს მთა-ბარში

საღამოსასწაულოდ საკოლმეურნეო ბაზრებში

რესპუბლიკის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პროდუქტი — თბილისელ მშრომელებს

დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში სადღესასწაულო ვაჭრობისათვის მზადებას.

— ახლა ჩვენი მუშაკები სხვადასხვა რაიონებში არიან ჩასულნი. — თქვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს განყოფილების გამგემ ნ. ჩოფიკაშვილმა, — ისინი ეთათბირებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ქალაქის ბაზრებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩამოტანის შესახებ. პირველი მაისის დღესასწაულისათვის პროდუქტებს ოკვე გზავნიან გარდაბანს, მარნეულის, მცხეთის, გორის, ბოლნისის, წალკის, ახალქალაქის, ახალციხისა და სხვა რაიონების სპეციალიზებული მეურნეობები. სულ ქალაქის ბაზრების პროდუქტებით მომარაგებაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის 50 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

ქალაქის ყველაზე დიდი ბაზარი პირველი მაისის რაიონის ცენტრალური ბაზარია. ყოველდღე ამ ბაზარში დადის დაახლოებით ასი ათასი მოქალაქე. დღესასწაულისწინა დღეებში ბაზარში საქონელმიტანა ხუთი ათასი კილოგრამი ,,ტრტრფილით, ათი ათასი კილოგრამი ბოსტნეულით, რვა ათასი კილოგრამი ხილით, ხუთი ათასი კილოგრამი ხორცით გაიზრდება.

— დღესასწაულის დღეებში გამყიდველებისათვის დამატებით 300 ადგილი მოკამზადდეთ, — თქვა ცენტრალური ბაზრის დირექტორის მოადგილემ კ. ჩოჩუამ. — ჩვენ ბაზარში რესპუბლიკის შვიდი რაიონის 17 მეურნეობა დამატებით ჩამოიტანს პროდუქტებს.

სადღესასწაულო ვაჭრობა გაჩაღდა კიროვის რაიონის, 26 კომისრის, ნაკოლოღის საკოლმეურნეო ბაზრებშიც. ყველა ეს ბაზარი მიმაგრებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე. იზრდება პროდუქტების მიწოდება. საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის გაიხსნა სპეციალური პავილიონები.

დღესასწაულისწინა დღეებში დიდი ყურადღება დაეთმობა გასატან ვაჭრობას. (საქინფორმი).

ფოტოაპარატით დედაქალაქში

თბილისი, ბარნოვის ქუჩა. ვ. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თეატრი

ადამიანზე ფიქრით

გათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ქინქლა“

ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემა, — სხვადასხვა მხატვრულ ასპექტში გამოვლენილი, — ბათუმის ილ. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეპერტუარის მთავარი თემაა.

ამ ტრადიციის ერთგულმა თეატრმა თავის მაყურებელს უჩვენა გოდერძი ათაშვილის ორმოქმედებიანი კომედია „ქინქლა“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ენგერ ჩაიძემ.

მოქმედება იწყება „პლატონას დუქანში“, საკმაოდ ეგზოტიკური გარემოებაში. სცენაზე არიან მებუფეტე პლატონა (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. გოგიბერიძე), მომტანი ქალი ვართუმა (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. წერეთელი) და კინტოს სამოსელში გამოწყობილი მეორეხე ქინქლა—კონსტანტინე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. შერვაშიძე).

პირველი მოქმედება იმ ადამიანების ცხოვრების მოსაწყენ, ერთფეროვან პროზაულ სინამდვილეს წარმოსახავს, რომელთაც საზოგადოებრივი იდეალები არა აქვთ. მებუფეტე ეროსიითა და ცინიზმით ლაპარაკობს ადამიანსა და საკუთარი ოჯახის სიყვარულზე. „მე არც არავინ მიყვარს და არც არავისი ხათრი მაქვს“,— ამბობს პლატონა და მის გარშემო მყოფ ადამიანებს მხოლოდ პირადი ინტერესების პოზიციებიდან აფასებს: მომტან ქალს თავის საკუთრებად თვლის, ხოლო მეორეს შემოსავალს წყაროდ უყურებს. არცერთის პიროვნული ღირსება ჩირად არ მიაჩნია. გმირის ამ სახასიათო ინტიმს მაგხიობმა გამოსახვის საეკეთესო ფორმა მოუძებნა. მ. შერვაშიძე ქინქლას როლში ყურადღებას იქცევს გარდასახვის ოსტატობით. მსახიობს ტანტი არ ღალატობს არც მაშინ, როცა დასცინიან და არც მაშინ როდესაც მძვინვარებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეკიკვის მიზნისცენა პირველ მოქმედებაში. ეკიკვის დროს ქინქლას ცხვირსახოცის ნაცვლად ფულს დაუგებენ, რომელიც ენთ უნდა „ახვიტოს“ იატაკიდან... ამ დროს რეჟისორმა მოქმედებაში მესამე ძალა ჩართო. შემოდის ქინქლას სიყრმის მეგობარი, პატიოსანი შრომელი კაცი, — გიორგი (აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მ. ნაპირელი) და ჩაშლის ამ ორგიას... გიორგი მოიკვეს საინტერესო ენობა იმის შესახებ, რომ ქინქლა-კონსტანტინე გმირია, გაქცევა. ცირკში მას განრისხებული ლომისაგან კაცი გადაურჩენია. ადამიანისადმი სიბრალულის გრძნობამ ქინქლას საკუთარი საცოცხლე გაუწირავინა. ერთბაშად, ხმამაღლა ნათქვამი ეს ენობა თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ მთელი მოქმედების განძილზე მ. შერვაშიძის ქინქლას ხასიათში გრძნობდა მაყურებელი, რომ ქინქლა-კონსტანტინე არ არის ღირსებადაცლილი ადამიანი. გიორგი შემთხვევამ ანალი პერსპექტივა მისცა მთავარი გმირის ხასიათის გაშლა-განვითარებას. მეორე მოქმედება მთლიანად ამ პრობლემის მხატვრულ გადაწყვეტას ემსახურება...

სპექტაკლი ლოგიკურად ეთანრდება და გმირი თანდათან მიაყვავს ზღვრულ ბოლოთან— ან უნდა აკანყოს და აიძულოს საზოგადოება აღიაროს მისი პიროვნება, კაცობა, ადამიანობა, ან მართლაც ცხოველად გადაიქცეს და ულრეკვინვილად ზიდოს ოჯახის მარჩენალის ტვირთი. გაიმარჯვა პირველმა. როცა ცოლი მადონა (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. საკანდელიძე), ქალიშვილი ლონდა (კ. აბზიანიძე) და სიძე ზაზა (ზ. შილაკაძე) პიროტუვიკით ექიკვიან ოჯახის მამას, აჭაოდა მეტი ღირსება მაინც არა გაქვსო — თვითონ გარდაიქმნება ბრძანებლად, გაიღვიძებს მასში დამცირების წინააღმდეგ ენერგიული, დიდი ხნის ნასაზრდოები პროტესტი. ეს სცენა ერთგვარად გაჟღერებული ჩანს, მაგრამ თუ დავიკვირდებთ მის მთავარ მხატვრულ ფუნქციას, — იგი სწორად აქვს გადაწყვეტილი რეჟისორს. მაყურებელმა. ღრმად უნდა განიცადოს გმირის მეტამორფოზის მთელი სიძნელე და სერთულე, სპექტაკლი მთავრდება თეატრალური პირობითობის ჭარბი გამოყენებით. მხატვრული თვალსაზრისით, ფინალი ერთ-ერთი სრულყოფილი ნამუშევარია. იგი სწორ ორიენტაციას აძლევს მაყურებელს — გაიფიქროს ღალეს ადამიანს, ადამიანურ ღირსებას.

სპექტაკლის წარმატებაში თვალსაჩინო როლს ასრულებს აკერის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ფილეპოვის მხატვრობა, თ. შამილაძის მუსიკალური გაფორმება და თ. ბეკაჩიძის ქორეოგრაფიული ნამუშევარი.

ცხადია, სპექტაკლი თავისუფალი არ არის გარკვეული ზარგზებისაგან. იეტრონი ამ ნაწარმოებს კომედიას უწოდებენ, მასში კი გმირის სულიერი ყოფის მძაფრი დრამა წარმოდგენილი, რომელიც დასასრულშიც ეროგვარი კაეშნით მსკვალავს მაყურებელს.

მხატვრული ზომიერებაა დარღვეული პლატონა-ვართუმას ლაქ-მოკავდებულების სცენაში (პირველი მოქმედება). ეს სცენა მაყურებლის გართობას უფრო ისახავს მიზნად, ვიდრე პერსონაჟის ხასიათში სწორად გარკვევას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სპექტაკლის სიტყვიერ მხარეს. ზოგჯერ წარმოთქმის ერთგვარი გაუბერალობა. მაინც უნდა თქვას, რომ თეატრის ახალი წარმოდგენა საინტერესო ნამუშევარია.

ი. ბიგილეიშვილი.

ჭ. ბათუმი.

სურათზე: სპექტაკლ „ქინქლას“ ერთი სცენა.

ნ. ტოფაძის ფოტო.

სამაისო თაიგული

ყველა დღესასწაულს ყვავილი ამშვენებს. განსაკუთრებით მრავლად არის ხოლმე ყვავილები გაზაფხულის დიდ დღესასწაულზე — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — პირველი მაისის დღესასწაულზე ზეთეული, ვარდისფერი, თეთრი მიხაკები, იასამანი, ტიტა, მიღიონობით სხვადასხვა ყვავილი შეადგენს სადღესასწაულო თაიგულს, რომელსაც რესპუბლიკის მეყვავილეები ამზადებენ პირველი მაისის დღესასწაულისათვის. მათი მასობრივი გაყიდვის მიზნით თბილისში, სოხუმში, ბათუმში. იხსნება ყვავილების მაღაზიები. ხოლო თბილისელები სადღესასწაულო მეიღებენ 15 ათას სხვადასხვა სადღესასწაულო ყვავილს.

რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი რაიონების მეცხოვრებლებზეც იზრუნეს. საქართველოში მოყვანილი ყვავილები თვითმფრინავებით, მატარებლებით. სატვირთო მანქანებით იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვსა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში.

მეყვავილეობა ჩვენს რესპუბლიკაში მეურნეობრიობის მნიშვნელოვანი დარგი ხდება. ამჟამად მასზე ზრუნავს ბევრი სამინისტრო და ორგანიზაცია. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგე მეურნეობათა ტრესტის ხუთი სანერგე ყვავილების მოყვანაზეა დასპეციალიზებული, ისინი წლის დამლევამდე აწარმოებენ 900 ათას ცალზე მეტ სხვადასხვა ყვავილს, რაც 100 ათასით მეტია შარშანდელთან შედარებით.

ყვავილები მოპყავთ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებს. მაგალითად, ბათუმში შექმნილია სპეციალიზებული ტრესტი, სოხუმში — კომბინატი, რუსთავსა და ქუთაისში — სამმართველოები. წლეულს ისინი ერთ მილიონ ცალზე მეტ ყვავილს მოიყვანენ. ორი სპეციალიზებული საყვავილე მეურნეობა აქვს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსაც. (საქინფორმი).

ერევნელი სტუმრები

ორი ინსტიტუტის მეგობრობა

ამ დღეებში თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი მოწვეულთ თბილისში ჩამოვიდა ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის რუსული ენისა და უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დელეგაცია.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც ინსტიტუტის საკტო დარბაზში შედგა, სტუნრებს მიესალმნენ თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი თ. ბუაჩიძე, ინგლისური ენის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები თამარ ლორთქიფანიძე და ლალი ბაბლიძე. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ერევნის ბრიუსოვის სახელობის რუსული ენისა და უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ხ. დარონიანმა.

შემდეგ მასპინძლებს სომხურ, რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე მიესალმნენ. ერევნის ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე გაიანე გასპარიანი, სტუდენტი გოარ არუთინიანი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ჭანარიკ ოვსეპიანი და ინგლისური ენის კათედრის გამგე პ. მესროფიანი.

სხდომის შემდეგ გაიმართა სტუდენტური თვითმოქმედების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა, იმავე დღეს სტუმრები გაეცნენ ჩვენს დედაქალაქს, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობა ადგილები.

მეორე დღეს ერევნელი სტუმრები გაეცნენ თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებსა და სახელმძღვანელო მეთოდურ მუშაობას, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის საქმიანობას.

გაიმართა სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილ სამასსოვარი ჯილდოები გადაეცათ. სხდომის დასასრულს ინსტიტუტების რექტორებმა, პროფესორებმა თ. ბუაჩიძემ და ხ. დარონიანმა ხელი მოაწერეს ორ ინსტიტუტს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

ამით საფუძველი ჩაეყარა ორი ინსტიტუტის მუდმივ მეგობრულ საქმიან კონტაქტებს. თბილისელები 1977 წლის სექტემბერში ერევანს ეწვევიან.

გ. წიკლაური.

დამატებითი მატარებლები საპირველმაისოდ

მაგისტრალის სამგზავრო სამსახურში საქონფორმის კორესპონდენტს უთხრეს, რომ ამერკალუასის რკინიგზის სამმართველო მთელ პირველი მაისის დღესასწაულისათვის დანიშნა რამდენიმე დამატებითი სამგზავრო მატარებელი.

26 აპრილს 17 საათსა და 15 წუთზე (მოსკოვის დროით) თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავიდა თბილისი-მოსკოვის დამატებითი მატარებელს პირველი შემადგენლობა. დღესასწაულის დღეებში ეს მატარებელი რამდენიმე რეისს მოაწყობს — 1, 3 და 7 მაისს.

დამატებითი მატარებელი № 210 თბილისი-ბათუმი თბილისიდან 29 აპრილსა და 6 მაისს გავა 19 საათსა და 40 წუთზე.

29 აპრილს ღამით და 6 მაისს 0 საათსა და 40 წუთზე თბილისიდან გავა ავრეთვე დამატებითი მატარებელი № 216 თბილისი-ბათუმი.

დღესასწაულის დღეებში თბილისის სადგურიდან გავა ავრეთვე ბევრი ტურისტული მატარებელი. მაგალითად, 29 აპრილს თბილისიდან გავა ტურისტული მატარებელი თბილისი-სოხუმი-ახალი ათონ-თბილისი. 6 მაისს ასეთივე მატარებელი მოაწყობს, რეისს მარშრუტით ბათუმი-თბილისი, ერევანი-ბათუმი და სხვ.

(საქინფორმი).

ᲐᲕᲘᲜᲓᲘ

ბუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოღრუბლული ამინდი იყვა, ზოგან წვიმდა. მთებში კი მზე ჩახჩახებდა, ამიტომაც იქ უფრო თბილოდა, ვიდრე სანაპირო რაიონებში, ყველაზე მეტი სითბო — 22 გრადუსი ონში აღინიშნა, დანარჩენ რაიონებში 18-20, დაბლობ რაიონებში 13-15 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი ამინდი იყვა. დაბლობ რაიონებში 19-23, მთებში 14-20 გრადუსი აღინიშნა.

ბუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 22 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს ხამრეთ რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ჩრდილოეთ ნაწილში ხეთრდბათ და ბრინჯაოს მედლები, რომლებიც სამივეს გადასცეს სპორტის სასახლეში, მათთვის ავანსად უნდა მივიჩნიოთ.

თბილისის „დინამოში“ ამ ტურნირში, განსაკუთრებით მოსკოველ თანაკლუბელებთან მატჩში, შემართებითი, მაღალტექნიკური და საკმაოდ ეფექტური თამაში გვიჩვენა, სწორედ ისეთი, როგორიც მოგვწონს ჩვენც, მწვრთნელებს და მაყურებლებსაც. ყველა დინამოელი მთელი ძალით იბრძოდა გამარჯვებისათვის. გულწრფელად მიხარია ახალგაზრდა ნწვრთნელების ლ. მოსეშვილისა და ა. ხხეიერელის წარმატება, მაგრამ ეს დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა კიდევ უფრო გულმოდგინე მრომა, რეზერვების დაუღალავი ძებნა. რეზერვები კი ქართულ კალათბურთს უხვად მოეპოვება, რასაც ადასტურებს თუნდაც ქართველ ჭაბუკთა გამარჯვება საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში.

რამდენიმე სიტყვა შეჯიბრების ორგანიზაციაზე. საუცხოო სპორტის სასახლე, რომლის კოლექტივმა ყველაფერი გააკეთა ამ ტურნირისათვის, ლამაზი აფიშები, პროგრამა, უაღრესად გულისხმიერი, კვალიფიციური მაყურებელი — ყოველივე ეს ხამდვილ სპორტულ ზეიმს ქმნიდა.

არასოდეს დამავიწყდება თბილისში გატარებული ეს დღეები თუნდაც იმიტომ, რომ დიდი სპორტიდან ჩინეული კალათბურთელის ზურაბ საკანდელიძის გაცილების მოწმე გავხდი. ბევრჯერ ვყოფილვარ ანალოგიურ ღონისძიებებზე, დავსწრებივარ იაკ ლიპსოს და პრიტ ტომსონის გაცილებას ეტტონეთში, ცერემონიალებს მოსკოვში, ლენინგრადში, მაგრამ ამგვარი სითბო, გაგზრება, ზეიმი არასოდეს მინახავს. დარწმუნებული ვარ, რომ ზურაბმა ეს დიამსახურა. სამოვნებით ვიგონებ ევროპის 1971 წლის პირველობას ესპანეთში და მიუნხენის ოლიმპიადას. ზ. საკანდელიძემ ორივე შემთხვევაში უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი გუნდის გამარჯვებაში.

მე, როგორც ნაკრების მწვრთნელს, ვფიქრობ, იღიალი მჭონდა, რომ ძიუხენის ფინალის უკანასკნელ წუთებში მოედანზე ზ. საკანდელიძე იყოფებოდა. სწორედ მან, თავისი სისწრაფის წყალობით, შეძლო ამერიკელ კოლიხზს დასწეოდა და შეეჩერებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ზურაბის გარდა ვერავინ შეძლებდა. ცხადია, ამ შემთხვევაში არ იქნებოდა ყველასათვის ცნობილი ფინალი სსრ კავშირისა და აშშ-ის ბაკრებთა გადამწყვეტ მატჩში.

დასასრულს არ შემიძლია დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ჩვენი გუნდის შეფი — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს (მმართველი ჯ. ცხადაძე) კოლექტივი. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ესიამოვნებინათ ჩვენთვის, სტუმრებისათვის, რომლებსაც თბილისიდან გულწრფელი მადლობის გრძნობა მიგვაქვს!

3. კონდრაშინი,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ლენინგრადის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

უკანასკნელი მატჩები

თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა სსრ კავშირის 1977 წლის 38-ე ჩემპიონატის მატჩები პირველი ლიგის ქალთა გუნდებს შორის (მეშვიდე-მეთორმეტე ადგილები).

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს თბილისის „ბორეველტნიკმა“ 3:1 დამარცხა ლადერი დონეცკის „ლოკომოტივი“ და საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. ასევთვე ანგარიშით ტალინის „ფლორამ“ მოუგო ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კიევ-ნოოვის „მოლდოვასა“ და „კუბანსის „დინამოს“ გუნდების მატჩს. ის კოლექტივი, რომელიც შეხვედრას წაიგებდა, პირველ ლიგას ტოვებდა. მატჩი მიიგეს ლატვიელმა სპორტსმენებმა — 3:1.

შ. ბახტაძე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

პირველ ლიგაში

გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ძირიგი ტური.

მუთაიასის „ტორპედო“ დამარცხდა კემერეოოში ადგილობრივ „კუზბასთან“ — 1:3.

ეი დანარჩენი შედეგებიც: მოსკოვის „სპარტაკი“ — „მეტალურგი“ — 2:1, „შინიკი“ — „კრიგბასი“ — 3:2, მინსკის „დინამო“ — „ნისტრუ“ — 2:0, ლენინგრადის „დინამო“ — ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ — 1:1, „ურალმაში“ — „კოლხოზჩი“ — 2:0, „ზეეზდა“ — „პახტაკორი“ — 0:1, „რუბინი“ — „პამირი“ — 2:1, „ტერეკი“ — ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 3:2, სკა — „ტავრია“ — 2:0.

იუსუპოვი—მსოფლიო ჩემპიონატში

ლენინგრადში დამთავრდა ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი. მასში 7 უძლიერესი საბჭოთა ჭაბუკი მოეკიდრაკე პოდაწილეობდა. ისინი ორ წრედ ასპარეზობდნენ. 12 თამაშიდან 7 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა 17 წლის იუსუპოვი (მოსკოვი). სწორედ იგი ითამაშებს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში. რომელიც სექტემბერში ავსტრიაში გაიმართება.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

დიდი ჩემპიონატის ᲤᲘᲜᲘᲤᲘ

გაღაუპარებლად შეიძლება ითქვას, რომ კალათბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატის თბილისის დასკვნითი ტური დიდი სპორტული ზეიმი იყო. თუმცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჯერ კიდევ კიევში გამოვლინდა, თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე გამართული მატჩების უმრავლესობა ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. სწორედ აქ გამოვლინდა ჯერ მეორე, ბოლო დღეს კი მესამე პრიზიორი.

თავდაპირველად „ვერცხლის“ მოპოვების ყველაზე კარგი შანსი ქქონდათ მოსკოვის დინამოელებს, მაგრამ მათ ვერაფერი გააწყეს თბილელ თანაკლუბელთა ტექნიკასა და შემართებასთან, ბოლო დღეს ლენინგრადის „სპარტაკთანაც“ წააგეს და სპასტიო კვარცხლბეკის მესამე საფეხური დამთმეს. მოსკოვის „დინამომაც“ 24 ქულა მოაგროვა, ისევე როგორც თბილელებმა, მაგრამ ამ ორი გუნდის პირადი შეხვედრების ბალანსი წლევანდელ ჩემპიონატში ხომ ქართველ კალათბურთელთა მხარეზე იყო — 3:2.

მინდა აღვნიშნო თბილისის ტურნირზე მოთამაშე ახალგაზდა არმენელება, ცენტრალური მოთამაშე ა. ლოპატოვი (სიმაღლე 207 სმ) და განსაკუთრებით 19 წლის მცველი ვ. მელეშკინი — ევროპის 1975 წლის ჩემპიონი ჭაბუკებში. იგი, რომ იტყვიან, კალათბურთის ფანატიკოსია, თავისებური მოთამაშე. ვფიქრობ, რომ მისი სახით ჩვენს კალათბურთს კარგი ბურჯი ეზრდება.

ახალგაზრდებს შორის გამოვეყოფ კიდევ კიეველ ა. ბელოსტენის (სიმაღლე 210 სმ), ლენინგრადელ გ. კაპუსტინს, ბერეთვე თბილისელებს ი. ჯანაშიას, ზ. ბახტურიძეს და ლ. გულდედავას, რომელსაც სნაიპერის ყველა მონაცემი აქვს და ალბათ დროთა განმავლობაში შესცვლის გ. ბიჭიაშვილს. ახალგაზრდა თბილისელ კალათბურთელებს ჯერ კიდევ ბევრი ვარჯიში სჭირდებათ და ბრინჯაოს მედლები, რომლებიც სამივეს გადასცეს სპორტის სასახლეში, მათთვის ავანსად უნდა მივიჩნიოთ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ძირიგი ტური.

მუთაიასის „ტორპედო“ დამარცხდა კემერეოოში ადგილობრივ „კუზბასთან“ — 1:3.

ეი დანარჩენი შედეგებიც: მოსკოვის „სპარტაკი“ — „მეტალურგი“ — 2:1, „შინიკი“ — „კრიგბასი“ — 3:2, მინსკის „დინამო“ — „ნისტრუ“ — 2:0, ლენინგრადის „დინამო“ — ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ — 1:1, „ურალმაში“ — „კოლხოზჩი“ — 2:0, „ზეეზდა“ — „პახტაკორი“ — 0:1, „რუბინი“ — „პამირი“ — 2:1, „ტერეკი“ — ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 3:2, სკა — „ტავრია“ — 2:0.

ᲘᲣᲡᲣᲞᲝᲕᲘ—ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ

ᲙᲠᲔᲢᲘᲜᲓᲔᲜᲢᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲕᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა მატჩის მეხუთე პარტია. მეტოქეები ერთხანს ამეორებდნენ მეხამე პარტიის სვლებს, მაგრამ შემდეგ გატეპნილ გზას პირველად ჩიბურდანიძემ გადაუხვია. მეოთხე მეტე სვლაზე ალექსანდრიამ თეთრებს ხარახხის საინტერესო შეწირვა შესთავაზა. ჩიბურდანიძემ არ მიიღო ეს შეწირვა, მაგრამ თანდათან მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა. მას უხდებოდა სახიფათო მუქარის მოგერიება როგორც ცენტრში, ასევე ფლანგიერის ფრთაზეც. ნორჩმა მოჭიდრაკემ დათმო პაიკი, მაგრამ მიხი მდგომარეობა არ შემსუბუქებულა.

41-ე სვლის შემდეგ პარტია გადადგა. ჩიბურდანიძემ ჩაიწერა 42-ე სვლა. ალექსანდრიას მატერიალური და პოზიციური უპირატესობა აქვს.

დღეს მეტოქეები დაამთავრებენ ამ პარტიას.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ 13 საათზე ,,ბოლშოი“-ში ,,ზტადტჰალეს“ სპორტის სასახლეში მიმდინარე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე გამმარჯვებელ მორიგი მატჩები.

რუმინეთის გუნდმა „წაგგზგორ-ის ჰოკეისტებთან — 3:6, ხოლო კანადელებმა დაამარცხეს ფინელები — 5:1.

გუშინ შეეცადის გუნდი შეხვდა აშშ-ის ნაკრებს. დიდი ანგარიშით 9:0 გაიმარჯვეს შეედებმა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲣᲪᲮᲚᲝᲔᲗᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ 550-ᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

სპასკისთან მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა ვლასტიმილ ჰორტმა რეკიკავიკში გამართულ ერთდროული თამაშის არაჩვეულებრივი სეანსი. დაიწყო რა შეჯიბრება ერთბაშად 200 მეტოქესთან, იგი შემდეგ განაგრძობდა ბრძოლას ამათ წინააღმდეგ, ვინც ზეგიზეგის ადგილს იკავებდა. ამრიგად, 33 წლის ჰორტი ამ სეანსში შეხვდა 550 მოჭადრაკეს... მისი ხეანსის შედეგია 477 გამარჯვება, 63 ყაიმი და მხოლოდ 10 წაგება.

ასეთი რეკორდები წინათაც იყო: წინდილი უმაღლესი მიღწევა 37 წლის წინათ ჰქონდა შეედ დიდოსტატს გედეონ შჩალბერგს, რომელიც შეხვდა 400 მეტოქეს (ეს იყო 1940 წლის ბუენოს-აირესში) და მათგან 379 მოჭადრაკე დაამარცხა.

სეანსის დროს, — რომელმაც ნთელ დღე-ღამეს გასტანა, ჰორტმა საჭადრაკო მაგიდიდან ჩამოვლისას 20 კილომეტრი გაიარა. ყოველ საათში მას ჰქონდა 5 წუთი შესვენება. ამ სეანსში ჰორტმა რამდენიმე კილოგრამი დაკარგა წონაში.

ᲔᲡᲙᲝᲖᲘᲗᲝ: „ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲐᲛᲑᲐᲕᲖᲔ“

ᲠᲐᲚᲐ. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მატჩის წინ კანადის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალან იგლსონმა თქვა: „იმ გუნდთან შედარებით, რომელიც „კანადის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობდა, ახლანდელი ნაკრები სულ სხვაა, მაგრამ მაინც ძლიერია“.

კანადელთა კაპიტანმა ფილ ესპოზიტომ კითხვაზე, რა ფულად პრემიას მიიღებენ კანადელი მოთამაშეები, მსოფლიოში უძლიერესის სახელს თუ მოიპოვებენ, უპასუხა: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კანადას წარმოვადგენთ და გამარჯვება ჩვენთვის ყველაზე დიდებული ჯილდო იქნებოდა. ჩვენი ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე საკმაო გასამრჯელოს იღებს. მსოფლიოს პირველობაზე კი ლაპარაკია უფრო დიდ ამბავზე, ეიდრე ფულია“. (საკდესი).

ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲑᲔᲙᲔᲜᲑᲐᲣᲔᲠᲘ?

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“, რომელიც „სარწმუნო წყაროებს“ იმოწმებს, მოათავსა ცნობა, რომ დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო მოთამაშეთ ომის შემდგომ წლებში, სახელგანთქმული ფრანც ბეკენბაუერი „კოსმოსში“ გამოჩნდება 21 მაისს შემდეგ, როცა დამთავრდება დასავლეთ გერმანიის ბუნდესლიგის მატჩები. გარდა ამისა გაზეთის კორესპონდენტი გვაუწყებს, რომ ბეკენბაუერი დათანხმდა ითამაშოს ნიუ-იორკის გუნდში, თუმცა გფრ-ის ზოგიერთი ფეხბურთის მესვეური უარყოფს ამას და ლაპარაკობენ მხოლოდ „ზოლაპარაკიებს“ შესახებ.

ამერიკული კლუბის ხელმძღვანელობამ თვითონ ფეხბურთელთან გარიგების გარდა „ვაჭრობა“ უნდა გააჩაღონ მიუნხენის „ბაიერთან“, რომელსაც ეკუთვნის კონტრაქტი ბეკენბაუერთან. (საკდესი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამბ. ლ. მ. ისაკაძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამბ. ო. ბ. კაპანაძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის დირექტორის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამბ. ა. ხ. შენგელია გათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო.

გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის უხუცესი თანამშრომელი, საქართველ